სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.



გაზეთი „ცნობის ფურცელი" ღირს
წლის დამლევამდე 3 მ. 50 კ.

ახლად გამართული რესტორანი
„იუჟნი ნომერა"
ტფილისი, ბარონის ქუჩაზე
ყოველთვის იშოვება მშვენივრად და გემოიანად გაკეთებული
სადილ-ვახშამი და საუზმე
ხორაგი უოველთვის ახალი და სუფთაა
რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები
იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით
ფასი უძვლაფრისა იაფია
(30—4) პატივისცემით ილია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» обѣдъ и ужинъ, дешевизна

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნი
სადღეგრძელოები
ამხანაგობის „გლეხის" გამოცემა
ფასი 5 კაპ.
მსურველნი მიჰმართავენ ზესტაფონში მ. გაჩეჩილაძეს. (10—6)




ღვინის სარდაფი
„იყალთო"
თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა
გოლოვინის პროსპექტი, თავ. კ. ორბელიანის სახ. № 15, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას. რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი
იყალთო
ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე,
ვედროთი ფასი დაკლებულია.

Винный складъ
Князя Г. и Л. Макаевыхъ
подъ фирмой
„ИКАЛТО"
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. К. Орбеліяни, № 15. (75—3)

ამზადებს საქალებო სკოლების უმცროსი კლასებისათვის, სხვა-და-სხვა საქალაქო სასწავლებლებისათვის, სასულიერო სასწავლებლის ყველა განყოფილებისთვის და ყველა კლასებისთვის, სასულიერო სემინარიის პირველ კლასისთვის; აგრეთვე ვისაც თავის ნებით ჰსურს ჯარში ჩაერიცხოს და მერე იუნკრის სასწავლებელში გადვიდეს (вольноопредѣляющіися). ფასი ყველას მაშინ გამოერთმევათ, როცა კარგა დაიჭერენ ეგზამენს და მიღებულ იქმნებიან სასწავლებელში. თანახმაა ქალაქ გარეთაც წაჰყვეს მსურველთ: სოფლად და აგარაკად. წერილის ადრესი: г. Тифлисъ, Вознесенская ул. д. № 51, С. А. Картвелову. აგრეთვე მსურველთ შეუძლიათ მნახონ სასულიერო სემინარიაში 9—1 საათამდის. (10—6)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანსა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერასტი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.
*Аптебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

გამოვიდა და ისყიდება
ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც
ცხოვრება დიდისა მოწამისა
იაკობ დაჭრილისა
(სურათით)
გამოცემა მოხრილის რ. ბარამიძისა
ფასი ერთი შაური (10—1)


# ახალი ამბავი

—

*** თავ. ივ. მაჩაბლის შესახებ. დღეს მერვე დღე არის და კიდევ ვერ გაუგიათ, თუ რა მოუვიდა თავ. ი. მაჩაბელს.

გუშინ ოჯახობის თხოვნით ბრძანება გადაეცა პოლიციას იხმარონ ყოველი საშუალება და ან მკვდარი აღმოაჩინონ, ან ცოცხალი.

გასაკვირველია ასეთი ამბავი... კაცი, რომელსაც თითქმის მთელი ტფილისი იცნობდა, დაიკარგოს ისე, თითქოს ნევსი იყოსო.

ამბობენ, წყალში თუ არის და თანაც ტანისამოსით, შეიძლება გვიან ამოიტანოს ზევით, რადგან ტანისამოსი სილით გაივსებოდა და გვამს უფრო დამძიმავდაო. ამას გარდა შესაძლებელია ტანისამოსით მოედვა რასმე წყალში და ზევით ვეღარ ამოაქვსო.

რაც დრო გადის, მეტი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმაა.

ყველა თავის-თავად ხსნის ამ უბედურ შემთხვევას... ყველასა ჰსურს ლეკოკობა გამოიჩინოს და საქმეს, შეიძლება სულ უბრალოს მარტივს, უფრო აბნელებენ.

ამისთანა საქმეში ბრუნდე კვალის ჩვენება და მითითება უფრო არევს საქმეს და ისედაც ძლიერ დატანჯულ ოჯახობას კიდევ უფრო ძლიერს ტანჯვას მიაყენებს.

რასაკვირველია, თავ. მაჩაბლის დაკარგვა ისე უცნაურია, რომ უნდა აელაპარაკებია მთელი ჩვენი საზოგადოება, მაგრამ ყველას უნდა ახსოვდეს, რომ მას დარჩა ყოვლად პატივცემული ოჯახობა, რომლისადმი მთელი საზოგადოების თანაგრძნობა უნდა იყოს მიმართული და უნდა ცდილობდნენ, ნამდვილი ჩვენების მიცემას, ნამდვილ კვალის მითითებას და არავრცელებდნენ ცუდ ფანტაზიის ზედ გავლენით შეთხზულ არაკებს.

თანაგრძნობა რომ დიდი გამოიწვია ამ ოჯახობამ, ეს იმითი მტკიცდება, რომ როგორც თვით ოჯახობამ, ისე ჩვენმა რედაქციამ მიიღო ამ დღეებში საქართველოს ყოველი კუთხიდამ დეპეშები და გვეკითხებიან დაწვრილებით ამბებს.

გუშინდელმა დღემ მოგვიტანა მხოლოდ ერთი ამბავი, რომ თავ-

მაჩაბლის ძებნაში მტკვრიდამ ამოზიდეს 16 დამხჩვალის გვამი და არც ერთს მათგანს არავითარი მზგავსება არა აქვს დაკარგულთან.

*** **ტფილისის გუბერნატორი** დ. ს. ს. თ. ა. ბიკოვი, საგანგებო მონდობილებათა მოხელე თავ. გურამიშვილთან ერთად გუშინ დილის 9 საათზე გაემგზავრა დუშეთის მაზრაში. გუბერნატორი დაბრუნდება რამდენიმე დღის შემდეგ.

*** **სამღვდელოების კრება სოხუმში.** 25 ივნისს სოხუმში მოხდა კრება ადგილობრივი სამღვდელოებისა. ამ კრებაზე, სხვათა შორის, განხილულ იქმნა კითხვა იმის შესახებ, რომ სოხუმის ეპარქიის სამღვდელოება დაეხმაროს ნივთიერად ახალ-სენაკის სასულიერო სასწავლებელს, სადაც ხსენებული სამღვდელოება, საკუთარის სასწავლებლის უქონლობის გამო, ზრდის თავისს შვილებს. კრებამ ამ საგნის შესახებ დაადგინა: გადადვას სოხუმის სამღვდელოებამ ახალ-სენაკის სას. სასწავლებლის სასარგებლოდ ყოველ წლივ 808 მან., რომელი ფულიც უნდა შესდგეს მღვდლების ჯამაგირიდან $1\frac{1}{2}$ პროცენტის გამორიცხვით; მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან აგრეთვე ოქუმისა, სოხუმისა, ილორისა, ოჩამჩირისა და გუდაუთის ეკკლესიები, რომლებმაც აღნიშნული საქმისთვის უნდა წარადგინონ 150 მან. სოხუმის ეპისკოპოსი არსენი კრებას არ დასწრებია.

*** **საბანაო ადგილები მტკვარში.** წყალზე ხალხის გადამრჩენი საზოგადოების საოლქო გამგეობა მკვიდრთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ამ ჟამად მტკვარში დათმობილია საბანაოდ, როგორც ყველაზე უფრო ნაკლებად საშიში, შემდეგი ადგილები: მარჯვენა ნაპირზე ივერის ხიდის ზემოდან და ქვემოდან და მარცხენა ნაპირზე გოგილოს აბანოს და ნავთლუღის დალმართის ქვემოდ დიურსიჭალის ბაღების მახლობლად. აღნიშნულ ადგილებში გამგეობას დაყენებული ჰყავს დარაჯები უბედურ შემთხვევების ასაცდენად.

*** **ქუჩების უსუფთაობა.** იმ დროს, როდესაც ქალაქის თვით მმართველობა თითქოს თვალს ახელს და სცდილობს ქალაქის სუფთად შესანახად ახალი წესები შემოიღოს, ზოგიერთი ნაწილი ჩვენის ქალაქისა უკუღმართობის გზას დასდგომია და სახლების მიდამო და მთლად ქუჩები სანაგვედ გადუქცევია (ალბათ მისთვის, რომ სჯერა ქალაქი მხოლოდ სიტყვითა სცდილობს გასუფთავდეს და არა საქმით, სჯერა და ნიშნსაც უგებს ეს თქვენ და ეს თქვენი სუფთა ქუჩებიო). ასეთს ყოფაშია, მაგალითად, ეგრედ წოდებული ახალი არსენალის ქუჩა. აქ სახლის პატრონები ერთი მეორეს ეჯიბრებიან თითქოს აბა ვინ უფრო მეტს ნაგავს გამოიტანს ეზოდგან, ვინ უფრო მეტ აყროლებულსა და აშმორებულ წყალს გადმოღვრისო, რომლისათვისაც არც მილები და არც ორმოები არ მოეძევებათ. სხვათა შორის, შესანიშნავია დასახელებულს ქუჩაზედ მყოფი სახლი, რომლის № 25 და 29 შუა უნდა მოიძებნოს. აღნიშნულ სახლის პატრონი ქუჩი განაგვიანების საქმეს მართლაც და სამაგალითო თავგამოდებით სრულებს: დილით ეზოდგან ნაგავი ქუჩაში გააქვს და შუაგულ ქუჩაში ჰფენს, თითქოს ორთაჭალის ბაღები იყოს და პრასა-ნიახურივით ამ დღით ნაგავი თავის თავად ამოდიოდეს, ღამით კიდევ აშმორებულ-აყროლებული წყალი გამოაქვს და ამ ნაგავს აპკურებს, რომლის სუნიც ჯერ ერთი მცხოვრებთ აუხებს და მერე ჰაერს სწამლავს. ქუჩაში წამომდგარი გუბეები, რომელსაც გულშემღონებელი მზის სუსხიც კი ვერ აშრობს დილიდგან საღამომდის, ყველას დაარწმუნებს, ვინც კი ამ ამბის სინამდვილის შეტყობას მოისურვებს (გარდა ქალაქის მზრუნველთა, რასაკვირველია, რომელთაც ეს გარემოება სრულიად არც აინტერესებს და არც აშფოთებს!) ამ წარსულს კვირას, მთელი ხუთი დღე, ქუჩაში გადმოგდებულ მკვდარი ქათმის სუნი გამვლელ-გამომვლელსაც უხუთავდა. იქ მცხოვრებნი მოსვენებას არ აძლევდა და ქაიამი ხან ერთი სახლის წინ ჩნდებოდა, ხან მეორისა, მაგრამ არც ქალაქმა და არც პოლიციამ, რასაკვირველია, თავისს მოვალეობად არ იცნო, რომ სანაგვეზე გაეტანინებინათ. ესა და მრავალი სხვა მაგალითი არა შემთხვევითია, არამედ მტკიცე ჩვეულებად გადაქცეული, მაგრამ... მაგარი მაინც კიდევ ის არის, რომ ქალაქის მზრუნველთ ჯერ ისევ მაგარი კანი, ყნოსვა (იქნება სხვაც რამე?) აქვთ და ვერ გაურკვევიათ, რა ნამდვილი საშუალებაა საჭირო, რომ სახლის პატრონები მცხოვრებთა ინტერესებს პატივით ეპყრობოდნენ. სანამდის ეს არ იქნება, იქნობამდის ქალაქის თვითმმართველობა და სახლის პატრონები მხოლოდ კეკე-მალულ ობას შეეღლევიან და საქმე-კი არ გაკეთდება.

*** **კაცის დახრჩობა მტკვარში** 27 ივნის მტკვარში დაიხრჩო ვინღაც ოსი, ბანაობის დროს დიდი საყვედურის ღირსია წყალზე ხალხის გამომრჩენ საზოგადოება, რომელსაც მტკვრის ნაპირზე უვარგისი დარაჯები დაუყენებია. ჯერ იყო და ხალხის ყვირილ-ხმაურობამ ძლივს გამოიყვანა ეს ვაჟბატონები მათი კარავიდან, და მერე კიდევ ნავის აშვებას იმდენ ხანს მოუნდნენ სანამ საბრალო ოსი შორს არ გაიტაცა წყალმა. მართალია, შემდეგ დაეწივნენ მას ნავით მაგრამ მხოლოდ ნიჩბები მიაწოდეს და ვერც ერთმა ვერ გაჰბედა წყალში ჩამხტარიყო. ბოლოს და ბოლოს ნავმა საბრალოს თავზე გადაუარა და ჩასძირა. ამის დამნახველმა მენავეებმა ერთი წუთსაც აღარ მოუცადეს, იქნება წყალს კიდევ ამოეგდო კაცი. და გამოვიდნენ ნაპირზე.

*** **კავკავი.** საქართველოს სამხედრო გზის მდგომარეობა. ასეთი უცნაური წელიწადი არსად ყოფილა, როგორიც ეხლა არის. გაზაფხულდა თუ არა, დაიწყო წვიმები და მას შემდეგ სულ წვიმს და სწვიმს გაუთავებლივ და დაუსრულებლივ. თითქოს გამოდარებას აღარ აპირებსო, ისე ნატრული გაგვხადა მზიანი დღისა. გამუდმებულმა წვიმებმა საშინლად აადიდეს უიმისოდაც გიჟ-მაჟი მდ. თერგი, რომელმაც საქართველოს სამხედრო გზა—ეს ერთად-ერთი საშუალება რუსეთთან მიმოსვლისა გააფუჭა. ერთს კვირაზედ მეტი იქნება რაც დარიალის ხეობაში გველეთის რკინის ხიდი მთლად წაიღო და მიმოსვლა შეწყდა. მაგრამ, რადგანაც წყალდიდობისა გამო ახალი ხიდის საჩქაროდ გაკეთება ყოვლად შეუძლებელია, ამიტომ ორთავ ნაპირებზედ ხეები დაასვეს, ზედ თოკი გააბეს და კალათასებ ჩასაჯდომი ჩამოჰკიდეს ზედ. ამ კალათაში ერთის ნაპირიდამ ჩასვამენ მგზავრს, ხოლო მეორე ნაპირიდამ თოკით გაიწევენ და ამ რიგად გადიყვანენ მგზავრს. ასეთს გაჭირვებას და თავ განწირვას, რასაკვირველია, მრავალნი უფრთხიან და ისევ ძველს გზაზედ, რომელიც თერგის მეორე ნაპირას არის, სიარულს ამჯობინებენ და ფეხით გადიან მთელ თოთხმეტ ვერსს, და ან კი როგორ არ შეეშინდეს მგზავრს, როდესაც ერთხელ თვით ინჟინერიც კი, რომელმაც ეს გასაყვანი გააკეთა კინაღამ წყლის მსხვერპლი არ შეიქმნა. პირველად, როდესაც ხალხს ეშინოდა გასვლისა, თვით ინჟინერმა სცადა გასვლა, რათა დაერწმუნებინა სხვები, რომ საშიში არაფერიაო, მაგრამ გასვლის დროს თოკი ჩაწყდა და წყალში ჩავარდნილი ინჟინერი ძლივს ამოათრიეს ცოცხალ მკვდარი.

ეს კიდევ არაფერი, ამ თვის ოცს აქეთია თერგმა საშინ[...]
იმატა და სად. ბალთასა და ლარს[...]
შორის ორი ვერსის მანძილზედ გზა მთლად გააფუჭა და მოჰგლიჯა ასე, რომ გზაზედ მიმოსვლა ყოვლად შეუძლებელი გახდა. ეხლა მგზავრები რის გაჭირვებით უვლიან მთა-მთა ორ ვერსს და ისე მიდიან მეორე ნაპირამ[...]
სადაც მზა-მზარეული ე[...]
უცდით- კიდევ სხვა ბევრს[...]
ლსაც გააფუჭა თერგმა გზე[...]
მიმოსვლა საშინლად [...]
ასეთი საძნელოა ამ [...]
თეელოს სამხედრო გზაზედ[...]
ზაურობა, მაგრამ ხალხი თ[...]
არ უშინდება და ჯერაც [...]
ბლომად დაიარება.

— ქედრის ბალახის აღმ[...]
ამ ბოლო დროს აქ სოფ. ბ[...]
ში ადგილობრივმა ფოსტა-ტ[...]
გრაფის უფროსმა ბ. მაკარი[...]
ჟინაძემ ტყეში აღმოაჩინა სწ[...]
ისეთივე ბალახი, როგორიც [...]
მაკურნებელი ბალახი ე[...]
ანუ კუზმიჩის ბალახი. ამ ბ[...]
ამ ბოლო დროს, როგორც [...]
ლამ უწყის, დიდათ გაითქვა [...]
ლი, როგორც უებარმა წამ[...]
მრავალ სხვა და სხვა სატკივრ[...]
წინააღმდეგ და, რასაკვირვე[...]
დიდათ სასიამოვნოა თუ ჩვენ[...]
მიჰყვეს ხელი მისით სარგებ[...]
საჭიროა, რომ ყურადღ[...]
ფოოს ვინმემ ამ ფრიად [...]
გარემოებას და ეს ბუნებრივი ს[...]
დრე კავკასიისა ხელიდგან არ
უშვან. დიდი პატივისცემის ღ[...]
სია ბ. კვიჟინაძე ამ აღმოჩენისათვ[...]

ალ. სან[...]

*** **ქ. ფოთი.** რკინის გზა[...]
მსახურთა უწეს-რიგობა. 28 ივნის[...]
ფოთის სადგურზე დილის სახ[...]
ხო მატარებელს აუარებელი [...]
ხი მოაწყდა. ბილეთები ჯერ კ[...]
დევ ბევრს ჰქონდა საყიდი და ათ[...]
ოდე ბილეთ ნაყიდი კაციც მატ[...]
რებელში შეუსვლელი იყო, [...]
ცა მატარებელი დაიძრა და გაემგ[...]
ზავრა. გამგზავრებულ მატარებელ[...]
დაედევნენ ბილეთიანი მგზავრებ[...]
ზოგმა მოასწრო შეხტომა, ზოგ[...]
კი აღარ მიუშვეს მატარებელთ[...]
კონდუქტორებმა; ეს უკანასკნ[...]
ლები ხელის-კვრით იშორებდნე[...]
მგზავრებს და ამ დროს ერთი კა[...]
ცი ჩააგდეს ვაგონებს შუა; ცოტ[...]
გასწყდა, ეს უკანასკნელი კინაღამ
გამოეთხოვა წუთი სოფელს, მაგ[...]
რამ მას მიეშველნენ ყმაწვილებ[...]
და სიკვდილს გადაარჩინეს.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რო[...]
ბილეთების გაყიდვა კასაში ჯე[...]
კიდევ შეუწყვეტელი იყო და [...]
სთან კასასთან წესიერების დამც[...]
ველი ჟანდარმიც არწმუნებდა [...]
ლეთების ყიდვის მსურველთ, სა[...]
ნამ ყველა არ შეიძენს ბილეთებს
მანამ მატარებელი ფეხს არ მოიც[...]

...ისო და მიუხედავად ყოველივე მისი მატარებელი მაინც გააქანეს.

გ. გეჯეთელი

** **დ. ჩოხატაური** (გურია). კეთილი განზრახვა. ჩვენს სამკითხველოს ბევრი რამ აკლია, ხოლო დამხმარებელი-კი ცოტა ჰყავს. უწინდელი სავსე წიგნთ-საცავი დღეს განახევრებულია; წიგნების დაბრუნებას არავინ ფიქრობს, თითქო მათი საკუთრება იყოს, წაღებული აქვთ არა წასაკითხად, არამედ სახლში სტოლის დასამშვენებლად. ერთმა აზნაურისშვილმა წიგნების დავთარში თავისი გვარის მაგივრად მოაწერა სულ სხვა გვარი; ამ სახით წიგნი იხელთა და აღარ აბრუნებს... სამკითხველოს სულ ექვსი ჟურნალ-გაზეთი მოსდის: „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“ და სამი კიდევ რუსული—ეს არის და ეს. აქაურმა ახალგაზდებმა ბევრჯელ განიზრახეს წარმოდგენის გამართვა სამკითხველოს სასარგებლოდ, მაგრამ ყოველთვის ხელის-შემშლელი გარემოება გაუჩნდათ და მათი განზრახვა განზრახვადვე დარჩა! დღეს, როგორც იყო, საქმე სისრულეშია მოყვანილი და 5 ივლისს იქნება გამართული წარმოდგენა, რომლის შემოსავლით უნდა გამოვიწეროთ „მოამბე“, „კრებული“ და „ჯეჯილი“. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ კეთილ განზრახვას ბ-ნი ბოქაული ხელს შეუწყობს და დახმარებას გაგვიწევს, მაზრის უფროსთან არ გაგვისტუმრებს ნება-რთვის ასაღებად და ამით ზედ მეტ ხარჯს აგვაცილებს.

ან-ჟან

** **ხაშური.** ჯიბგირების გამრავლება. ჩვენს ხაშურში ისეც ბევრი უწესოება სუფევს ბაზარში და ახლა ჯიბგირებმაც იჩინეს თავი. 21 მაისს, დილის 9 საათზე ერთ საწყალ გლეხს, გიორგი ბარბაქაძეს, სოფლიდამ ჩამოეტანა ბაზარში გასასყიდათ რამოდენიმე ფუთი ყველი, რომელიც 8 მანეთათ გაეყიდნა, ფული დაეკეცნა და უბეში ჩაედო, მაგრამ მას, თურმე, ჯიბგირი უთვალთვალებდა და როგორც ამ ვაჟბატონმა თავისუფალი დრო იხელთა, მიუახლოვდა გლეხს, უეცრივ ეცა უბეში და გამოსტაცა რვა მანეთი საფულეთი. შემდეგ ჯიბგირმა მოჰკურცხვლა დააპირა, მაგრამ მას სტაცა საყელოში ხელი თავ-ზარ დაცემულმა გლეხმა და დაიმორჩილა. ამ დროს გლეხის ღრიალზე მათ შემოეხვია გარშემო ურიცხვი ხალხი, მაგრამ ჯიბგირმა რვა აბაზის მეტი არ გამოაჩინა, რაზედაც ატყდა დიდი ჩოჩქოლი, ჯიბგირი კისერში ცემით წაიგდეს წინ და წაათრიეს მამასახლისის კანცელარიაში. გარდა ამისა ბაზარში გავლა პატიოსანი კაცისთვის, ნამეტნავათ თუ იგი მანდილოსანს მიჰყვება, საძნელოა, იგი ათას უწმაწურ სიტყვას მოისმენს დუქნებიდამ და სარდაფებიდამ.

— მაქსის ცირკით გატაცება. ერთი თვე იქნება, რაც ხაშურს ეწვია სახელ გათქმული ცირკი მაქსისა, რომელმაც ცოტათ თუ ბევრათ გაამხიარულა მთელი ხაშური და მის ახლო-მახლო მცხოვრები ხალხი. ცირკის წარმოდგენა თითქმის ყოველ ღამე არის და ძალიანაც მოხიბლა აქაური ხალხი. ვინც კი ერთხელ დაესწრო ამ «ცირკში», მას თითქმის ყოველ ღამე მიეზიდება მისკენ გული.

გიგო ზანაველი

** **ს. რკვია** (ზემო იმერეთი). მავნე ჩვეულებანი. ამ სოფლის მცხოვრებნი ისე მტკიცედ მისდევენ ყოველ ჩვეულებას, რომ ყოვლად შეუძლებელი გამხდარა მათი წინ წასვლა. ისეთი გლეხები, რომელთაც შიმშილისაგან კუჭი ეწვით მოვა თუ არა რომელიმე დღესასწაული, ეკკლესიაზე საკურთხს მიარბენინებენ, დასხდებიან იქ და უთავაზებენ ერთი-მეორეს ღვინოს; ამ თავაზობაში შეზარხოშდებიან და შემდეგ გამართავენ ჩხუბს, და მერე როგორ ჩხუბს? სულ ქვითა და კეტით ამტვრევენ ერთმანეთს ცხვირ-პირს. ერთხელ აღდგომას ეკკლესიაზე დატრიალდა დიდი საცოდაობა: ერთი კვერცხის გულისათვის მოკლეს გლეხი სვიმონა მუმლაძე. საქმე ასე იყო: როდესაც გლეხებს ძალიან მოერიათ ღვინო, დაიწყეს კვერცხების ჰიდაობა. ერთ მათგანს გამოადგა გაფუჭებული გატეხილი კვერცხი, ამაზე შეიქნა ჩხუბი, ჰკრეს ხელი ერთმანეთს, შემდეგ დაუშინეს ზევიდან ქვევით მყოფ კაცებს ქვა და სვიმონია მუმლაძეს გაუტეხეს თავი. საწყალმა კიდევ იცოცხლა საღამომდის და მერე განუტევა სული.

სახლში აქაური გლეხები ღვინოს არ სმენ და საკურთხობისათვის ინახვენ საუკეთესო ღვინოს, რა არის სირცხვილი არ ვჭამოთო, თორემ საკურთხი მკვდრისათვის არაფერი საჭიროაო. ვურჩევთ, რომ ვისაც მეტი ქონება აქვს, შეეწიონ იმ გაჭირვებულთ, რომლებიც აქ მრავლად არიან. კარგი კი იქნება, რომ ეს ჩვენი რკვია სხვა სოფლებს წაბაძავდეს, სადაც სულ მოსპობილი არის სხვა და სხვა მავნე ჩვეულება.

აი კიდევ რკვიელების დამღუპველი ჩვეულება. ამ სოფელში თუ ვინმე გარდაიცვალა, შეიყრის ხალხი თავს, აირჩევენ თავ კაცებს, როგორც მედიატორებს, და რჩევას აძლევენ მიცვალებულის პატრონს: ბევრი ხალხი დაპატიჟე და ბევრი გადასაბურავი შემოგივა, რომელიც ხარჯსაც დაგიფარავს და კიდეც გადაგრჩებაო. საწყალი გლეხი ეთანხმება მრჩეველთ და იწვევს აუარაბელ ხალხს. მაგრამ გადასაბურავათ ოთხ-ხუთ კაცს ერთი მანეთი ძლივს მოაქვს. არჩეული კაცები აფრენენ ბაზრებში ბიჭს და მედუქნეს ბარათს უგზავნიან: ამდენი და ამდენი ხორცი გამოგზავნე და ჩაიწერეო. მედუქნეც ერთი-ორათ სწერს. მან კარგად იცის, რომ მიცვალებულის პატრონი ყოველგვარ ვალს შეიწევს და ამ მიცვალებულის ხარჯის ვალს კი არა. გაუგონიათ, მიცვალებულზე დანახარჯი რომ შეიწიო, ცოდვა არის, მკვდარს აღარ მიუვაო.

ამასობაში რკვიელები რჩებიან, იფცქვნებიან, სწავლისათვის გროშიც ვერ გაუმეტებიათ და ანბანაც კი არ იციან.

იპოლიტე გაჩეჩილაძე

** **სოხუმი.** კურს-დამთავრებულნი აქაურ სამთო სკოლაში. წრეულს სოხუმის ორკლასიან სამთო სკოლაში სწავლის კურსი დაამთავრეს 13 ყმაწვილმა. აი მათი გვარებიც: ანჩაბაძე დავ., ბერულავა ექვთ., ვასილიევი გრ., დავითაია იულ., დგებია სილ., მალი ალექსი, ყარაპულეტი ლ., ნადარეიშვილი გრ., რუხაია დიომიდე, სოპლემეზი ქრის., საფიანოვი არისტ., ჯაფარიძე ვარ. და გვასალია გერას., ამათში 8 ქართველია, 3—ბერძენი, 1—რუსი და 1—აფხაზი.

** **ქ. ოზურგეთი.** 27 ივნისს მთავრობის ნება რთვით მოხდა ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა უჩვეულებრივო კრება; გარდასაწყვეტი იყო ის კითხვა, თუ რამდენი უნდა გადიხადოს წლიურად ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობამ მომავალ პროგიმნაზიის დასაარსებლად; ამ კრების თავმჯდომარე იყო ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თ. კონსტანტინე დავითის ძე ერისთავი თავად-აზნაურობამ გაიღო ყოველ-წლიურად 2000 მან. ჩვენის აზრით ეს ფულები ძალიან ცოტაა და ეს გადაწყვეტილება იმას უნდა მივაწეროთ, რომ კრებაზე ცოტა ხალხი დაესწრო.

არ იქნება ურიგო, ბ-ნი ჩვენი წინამძღოლი ხელ-ახლა ნებართვას გამოითხოვდეს თავად-აზნაურთა უჩვეულო კრებისას ჩვენის მიწაწყლის სახელმწიფო ღალის გარდასახადის შესახებ და ერთად ამ კითხვასთან ხელ-ახლა იქნეს შეტანილი 27 ამ თვეს გარდაწყვეტილი კითხვა; მე სრული იმედი მაქვს მეორე კრებაზედ უფრო დინჯი და აუჩქარებელი მსჯელობა და გარდაწყვეტილება იქნება, ვინემ პირველზედ.

აზნაური

** **ს. წევა** (ზემო იმერეთი). უვარგისი გზების შეკეთება. აქ 15 ივლის იმართება ხოლმე ბაზრობა, რომელიც გასტანს 4 დღემდე. ამ ბაზრობაზე დიდძალი ხალხი იყრის თავს როგორც სოფლებიდგან, აგრეთვე დაბა ქალაქებიდანაც ბევრი ვაჭრები მოდიან, მოაქვთ აუარებელი სავაჭროები. წევა მდებარეობს 4 ვერსის სიშორეზე სადგურ ძირულიდგან. მაგრამ ისე უძნელდებათ აქ მომსვლელ ვაჭრებს სამაზრო ადგილამდე ამოსვლა, რომ ოცი ვერსის გავლა ურჩევნიათ. მიზეზი ამისა ის არის, რომ აქ ეს ოთხი წელიწადი იქნება, რაც ცუდმა ამინდებმა ძალიან გააფუჭა გზები და აგრეთვე ხიდები. დღემდის ამ გარემოებას ყური არ უგდეს, არც მცხოვრებლებმა, არც ადგილობრივმა მამასახლისმა. იყო წევა უგზო-უხიდოთ. ეხლა კი მოუვლინა ღმერთმა წევას გულ შემატკივარი მამასახლისი ი—რე გაჩეჩილაძე, რომელმაც სამსახურში დადგომისათანავე ყურადღება მიაქცია ამ დაზიანებულ გზებს. პირველათ შეუდგა უსაჭიროესი ახალი გზის გაყვანას. სად. ძირულიდან სამაზრო ადგილამდე და აგრეთვე მახლობელ სოფლამდინაც. წევას გვერდით ჩამოუდის მდ. ძირულა, რომელზედაც ძველი დროიდან იყო ერთი საცალფეხო ხიდი. ამ ხიდის შემწეობით ადვილათ შეეძლო წევიდგან მის გაღმა სოფელში გასვლა და სოფლის სასამართლოში დანიშნულ დროზე მისვლა. მაგრამ ეს ხიდი ოთხი წელიწადი იქნება რაც მდ. ძირულამ წაიღო და დღემდე ახალი ხიდი არ გველირსა. ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენი ახალი მამასახლისი როგორც გზების გაუმჯობესობას, აგრეთვე ხიდის გაკეთებასაც ეცდება, რითაც სოფელს დიდათ დაავალებს და ააცილებს ხალხს მდინარეში ჩაცვივნას.

რაფიელ ერმ. გაჩეჩილაძე

# თეატრის მატიანე

**ს. ხვარბეთი** (გურია). წარმოდგენის გამართვა. 25 ივნისს ს. ხვარბეთში ადგილობრივ სცენის-მოყვარეთაგან წარმოდგენილ იქმნა საქველ-მოქმედო მიზნით ორ მოქმედებიანი კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ და 1 მოქმედებიანი ვოდევილი „ხოლვეროზა“ ვ. გუნიასი. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა, მაყურებლები დიდათ ნასიამოვნები დარჩნენ. ხალხი ქ. ოზურგეთიდგან და შორე სოფლებიდგან მეტი და

ვიწრო, ვიდრე ადგილობრივი მცხოვრებლები.

დიდი მადლობის ღირსია მამასახლისი ბ. მ. ტულუში რომელმაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინა.

მაყურებელი.

## სასულიერო კურსები ტფილისში

30 ივნისს მორიგი ლექცია წაიკითხა სამრევლო სკოლების ზედამხედველმა ბ. ნ. გ. ტატიშვილმა შესახებ ღვთის მსახურების სწავლებისა.

ორნაირი შეხედულება არსებობს ღვთის მსახურების სწავლების შესახებ, სთქვა ლექტორმა, მაგრამ ორივენი გამოუსადეგარია სამრევლო სკოლებისთვისაო. ზოგი საშუალო სწავლის მასწავლებელი ცდილობს შეასწავლოს ბავშვს რიგზე ლოცვა-საგალობლო საკითხავები რომელიმე ღვთის მსახურებისა. მეორენი კი ღვთის მსახურების საიდუმლო აზრის ახსნას ანდომებენ დროს. პირველზე ის ითქმის, რომ მხოლოდ მაშინ იქნებოდა ასეთი სწავლა მოსაწონი, თუ სამრევლო სკოლის მიზნად ექნებოდა დიეჩკლიენობინა ღვთის მსახურებაში ბავშვები და მედავითნეებად მოემზადებინა. სამრევლო სკოლებში კი მიტომ ასწავლიან ბავშვს ღვთის მსახურებას, რათა ზნეობრივი და სარწმუნოებრივი გრძნობები გაუკეთილშობილოს, გაუსპეტაკოს და აუმაღლოს ბავშვს. მეორეზე კი ის უნდა ვსთქვათ, განაგრძო ლექტორმა, რომ საიდუმლო მნიშვნელობის აღსნას მაშინ ექნებოდა კეთილი გავლენა, თუ ყოფილი სიტყვა ამა თუ იმ სამღვთო საგალობლის და საკითხისა. ბავშვისთვის ღვთის მსახურება ძნელი გასაგებია, ამისათვის მასწავლებლის მოვალეობაა, აუხსნას რასაც ხედავს და ესმის ბავშვს ეკკლესიაში, რათა გაგებით იმყოფებოდეს ეკკლესიაში და წირვა ლოცვაში მხურვალედ იღებდეს მონაწილეობას. ქრისტიანი ეკკლესიაში იმიტომ მიდის, რომ ილოცოს, როგორ ილოცავს ბავშვი, თუ არ ესმოდინება, არ ესმის რა ხდება ეკკლესიაში. ყველაფრის შესწავლა სამრევლო სკოლაში დროს უქონლობის გამო შეუძლებელია, ამისათვის ხშირად სახმარებელი საკითხავ-საგალობლები უეჭველად უნდა შეისწავლოს ბავშვმა.

შემდეგ ლექტორი შეეხო სლავიანურ კითხვას.

ძველად სლავიანურ კითხვას დაიწყებდნენ და ჟამნში სწავლობდნენ, ესმოდათ თუ არა წაკითხული, ამას არავინ დაეძებდა. შემდეგ ასეთი სწავლება ახალმა პედაგოგებმა სკოლებიდან განსდევნეს და მასთან ერთად თვით წიგნებიც. ზოგიერთის სიტყვით, რომელ სკოლაშიც კი დავითნს და ჟამნს კი თხოულობენ, ღირსნი არ არიან ეს სკოლები, სამღვთო წიგნები მიაჩნიათ ანტიპედაგოგიურად, ამასთანა მკაცრი მსჯავრი, რომ ვეებმის რაღაც უნებურად გვებადება კითხვები! იცნობენ ეს პედაგოგები სამღვთო წიგნებს, იციან რა სწერია ამ წიგნებში?

მათი შენიშვნა, ვითომც ბავშვს არ შეუძლია გაიგოს ფსალმუნები, საგალობლები ჩვენ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ეს მასალა ისეთი მრავალფეროვანია და ურიცხვია, რომ ცოტა გამოცდილი მაინც თუ აქვს მასწავლებელს ხელოვნურად შეუძლია აწარმოვოს საქმე და მიზანსაც მიახწიოს. ავიღოთ 136 ფსალმუნი, რომელშიც იხატება გოდება ებრაელთა ბაბილონში. აქ რა არის გაუგებარი ბავშვისთვის, მით უფრო რომ უკვე შესწავლილი აქვს ბავშვს ფსალმუნამდის ისტორია ებრაელთა ტყვეობისა ბაბილონში.

ბავშვისგან ზეპირად შესწავლას ხომ არავინ ითხოვს; მან მხოლოდ ის უნდა შეისწავლოს ზეპირად რაც აუცილებლად საჭიროა ყოველდღიური ლოცვისთვის, ფსალმუნებს კი რაც შეიძლება, სულაც არ არის საჭირო მათი გაზეპირება, საკმარია იცოდეს აზრი და შინაარსი აგრეთვე საგალობლების და საკითხავებისა. აგრე რიგით საიდუმლო მნიშვნელობის ახსნას არ უნდა გამოიყენებს მასწავლებელი, ეს სემენარიის დანიშნულებაა და არა სამრევლო სკოლისა. საკმარია წირვის შესახებ მოკლედ გააცნოს მნიშვნელობა პროსკომიდიისა, მღვდელ-მსახურთ ზიარებისა და სხვა. საღამოს ლოცვის შესახებ აუხსნას 103 ფსალმუნი, სვიმონ ღვთის მიმრქმელის ლოცვა, ღვთის მშობელი ქალწულო და სხვ. როგორ ამის დამტკიცება, რომ საღამოს ლოცვას ძველ აღთქმას მოგვაგონებს, ქვეყნიერების შექმნიდან ხარებამდის. ჩვენ სულაც არ გვინდა ვსთქვათ დაბოლოება ბ-ნმა ლექტორმა ვითომც საიდუმლო აზრის ახსნა არ იყოს საჭირო, მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ დიდი ადგილი არ უნდა ჰქონდეს მას სამრევლო სკოლაში.

მ. ლიხელი

## ყურმოკრული საუბარი

საქმის მცოდნე თარჯიმანი. სამ არჩევა ერთს ბრუგნიანულურს სასამართლოში. გლეხი სჩივის: მეზობელმა ერთი დედა-ღორი და 9 გოჭი მომპარა. თარჯიმანმა უეჭველად უნდა გადაუთარგმნოს მოსამართლეს. მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გაჭირვება: სიტყვა „გოჭის“ გადათარგმნა ვერ მოახერხა რუსულად. მაგრამ მალე იხსნა თავი უხერხულ მდგომარეობისაგან. ჰკითხეს უთხრა: შენ დედა-ღორის ფასი ითხოვე, გოჭებს თავი დაანებე, ამათ ფასს მე გიზღავო...

## სხვა-და-სხვა ამბები

იაპონელების ჩვეულება ქალის თხოვნის დროს. იაპონიის ზოგიერთ ადგილებში შემდეგი ჩვეულება სუფევს. იმ სახლში, რომელშიაც ერთი ან რამდენიმე მოზრდილი ქალები არიან, ავიწყობ ან დერეფანში ჰკიდებენ სამ წმინდა გრძელ ძეწყვზე მშვენივრად მორთულ ცარიელ ყუთებით ქილას, რომლის ზემოთა ნაწილი გადაკრულია მარწყვისებ მოქარგულ გადასაკრავით. ახალგაზდა იაპონელი უახლოვდება თავის საყვარელ ახალგაზდა ქალის სახლს იშვიათად ყვავილით ხელში ამასთანავე ამ დროს, როდესაც იმან დარწმუნებით იცის, რომ ქალი შინ და შეუძლიან, სადაც მომაღებ და თვალყურის დევნება. ამისთვის ახალგაზდა კეტი იღებს ცარიელ ქილას და დიდი ყურადღებით რგავს თავისგნით მოტანილ მცენარეს, რომლის ძირებსაც საკმაოდ ადვილ მიუგდოს მიწას. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალგაზდა კეტი ხელს სთხოვს იმ სახლში მყოფ ახალგაზდა ქალს. თუ ოჯახში რამდენიმე გასათხოვარი ქალია, ამ შემთხვევაში მცენარეს უერთდება რამე ნიშანი, რომლითაც ხვდებიან, ვის ეხება. ამის შემდეგ რამე გვას ჭაბუკი მიდის და, რაკი იქმ სადმე დაიმალება ის თავის მხრით უთვალთვალებს. თუ ქალი მალე გამოჩნდება სარწყავით ამოსთვის, რომ მცენარე მორწყას, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მოხმოვნის გრძნობაზე გრძნობით უპასუხებს. თუ იგი არ გამოჩნდება, და ყვავილი მოურწყავი რჩება, მაშინ საქმრო შეუძლიან ჩასთვალოს იმათ, რომ ქალი ამაზე სიერთო არაფერს ჰგრძნობს. მაგრამ სრულ გადაწყვეტილებას ორთავე ისინი მხოლოდ მეორე დღის შეატყობენ. მაშინ ხშირად ხდება ხოლმე, რომ გულდადებით მორწყული წინა დღემ ყვავილი მოგლეჯილია მკვდრის ხელოსაგან შეუბრალებელ მამის და დამნარის გდის მოწაზე; ხანდისხან ხორნარი მცენარე ქალისგან ყურადღებოდ დატოვებული, ჭერ ისევ ხმება და უცებ მაშინ კიდა ... ამ შემთხვევაში, საქმროს, თუმცა კარგად იცის, რომ იგი არ უყვარს, მაინც იმედი უნდა იქონიოს, რომ მისი წინადადება, მამის ბრძანებით, მიღებულ იქნება.

მიხეილ კიკნაძე


# განცხადებანი

ოთახებით მოწყობილი სასტუმრო (ნომრების) „საქსონია“-ს პატრონი ლაზარე ნიკოლოოზის ძე გულვა ამით აცხადებს ტფილისში ახლად მოსულთა და პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ მან თავისი სასტუმრო, რომელიც იმყოფებოდა წოვიანოვის სახლში გადაიტანა ამბარცუმ ეფ. ფინჯიანცის სახლებში ნიკოლოოზის მოედანზე 1 ივლისიდამ ამ წლისა. (3—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს ქ. ტფილისის მცხოვრებელთა საყურადღებოდ, რომ, საგუბერნიო მთავრობის ნებართვისამებრ, ყოველგვარ **ნაგვისა და ტალახის გადაყრა ნებადართულია** მდ. მტკვრის შემდეგ ადგილებში:

მტკვრის მარჯვენა მხრივ:

1. ვერის აღმართის მახლობლად, ხიდის მარჯვნივ ოლგას ქუჩიდან.
2. მნაცაკანის ხიდთან.

მტკვრის მარცხენა მხრივ:

3, ხოსროევისა და ზუბალაშვილის ქარვასლასთან, რიყის მხრივ, საქალაქო საჭირო ადგილების მახლობლად.
4. გოგიიოს აბანოსთან.
5. მნაცაკანის ხიდის მახლობლად.
6. მუშტაიდის ვიწრო ქუჩასთან, რომელიც ჩადის მდ. მტკვარზედ.
7. ხელდახელ გადასაყრელ ნაგავისთვის პონდოევის ეზო ქვემო ავლაბრის ხიდთან, თათრების მეჩეთის მახლობლად.
8. ამათ გარდა ნაგვის გადაყრა შეიძლება მადათოვის კუნძულის ჩრდილოეთ მხარეს. (3—2)

დაიბეჭდა და გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მაღაზიას გასასყიდათ ახალი წიგნი

**თ. ილია ჭავჭავაძე**

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი

წერილი პირველი

**მევახლავარ**-ისა

ფასი 20 კაპ.

ვინც დაიბარებს ათს ცალზე მეტს ხსენებულ მაღაზიიდგან, მას დაეთმობა 20%. (15—11)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Іюля 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-ის. ქარ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია